წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და სამანდატო იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიების ერთობლივი სხდომის ოქმი

ქ. წალენჯიხა 22 თებერვალი 2022 წელი

2022 წლის 22 თებერვალს, გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და სამანდატო იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიების ერთობლივი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, ესწრებოდნენ: ომარ ქარდავა, ნანა ქობალია, რომან კვარაცხელია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, თემურ ქადავა, გონერ კვარაცხელია, სოლომონ სარია, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია.

დაწყების დრო: 11:^{00}-სთ.

დასრულების დრო: 11:^{30}-სთ

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

   პროექტის წარმომდგენი:**გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   პროექტის წარმომდგენი: **ბაჩანა ქანთარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ.

   პროექტის წარმომდგენი: **ბაჩანა ქანთარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4. საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

   პროექტის წარმომდგენი: **ბაჩანა ქანთარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5. სხვადასხვა

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები არ ქონიათ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ, კომისიის წევრებს გააცნო ბაჩანა ქანთარიამ, ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა ჩათვალეს საჭიროდ, რომ საწვავის ხარჯების ლიმიტში ჩაისვას დიზელი. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ავთანდილ გაბელიამ წამოაყენა წინადადება, რომ მობილური ტელეფონის ხარჯები, 5 ლარით გაიზარდოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებზე.

საკრებულოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ოთხივე საკითხი მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს კომისიების ერთობლივმა სხდომამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 11^{30} სთ-ზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე / ბაჩანა ქანთარია/